



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4924039001

თარიღი:08/02/2024

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებაში სტაჟიორის მიღების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადვილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების მე-5 მუხლის, მე-13 , მე-18 და 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1. ბიჭიკო ნემსიწვერიძე** - მიღებული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებაში სტაჟიორად, 2024 წლის 8 თებერვლიდან 2024 წლის 8 ივლისის ჩათვლით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 395 ლარის ოდენობით.
- 2. სტაჟიორის მენტორად** განისაზღვროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე.
- 3. უფლებამოვალეობები** განისაზღვროს დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე/ თან ერთვის/.
- 4. კონტროლი** ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



